ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4329322

ნომერი: AR1648266

თარიღი : 05.12.2018

გაცემის თარიღი : 04.01.2019

გაცნობის თარიღი : 10.01.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გეგელია პ/ნ 01008016809
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 24"ა" ბ. 79

ნომენკლატურა :

- ოფისი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ოფისი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი გეგელია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 05 დეკემბერს AR1648266 განცხადებით მომართა გიორგი გეგელიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გაზირზე, N 6-ში (საკადასტრო კოდი N 01.14.11.011.015) საოფისე შენობის ესკიზის წინასწარი შეთანხმება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.11.011.015) 2018 წლის 08 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01.011828129 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 20 აგვისტოს N2402 განკარგულებაში და არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.11.011.015) საზოგადოებრივი კვების ობიექტის განთავსების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და საზოგადოებრივი კვების ობიექტის განსათავსებლად, განაშენიანების კოეფიციენტისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და განისაზღვრა კოეფიციენტები: კ1=0.8, კ2=4.0“ ვინაიდან წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს ზემოაღნიშნული პარამეტრების გამოყენებას ოფისის ფუნქციის შენობისათვის სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს AR1648266 განაცხადი და დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.